საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 20

ქ. თბილისი 18 აპრილი 2018 წ.

ინსტიტუტის შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის №21 (18.02.2016) ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის„ღ" ქვეპუნქტისსაფუძველზე, „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აიკრძალოს თამბაქოს მოწევა ინსტიტუტის შენობა-ნაგებობებში, ასაფეთქებელ კამერაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.
2. დამტკიცდეს ინსტიტუტის შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესი (დანართი).
3. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს,საიდუმლო საქმისმწარმოებელს ვერიჩკა მაჭარაშვილს წინამდებარე ბრძანების ინსტიტუტის თითოეული თანამშრომლისათვის გაცნობა და სათანადო დოკუმენტაციის გაფორმება.
4. დაევალოს ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს ინსტიტუტის შენობა-ნაგებობების ყველა შესასვლელში და თვალსაჩინო ადგილებზე თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან მარეგულირებელი წესის, წარწერის და ნიშნის, ასევე ამ წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომრის, განთავსება და ინსტიტუტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევისათვის ადგილის გამოყოფა.
5. თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესის დაცვაზე პასუხისმგებელ პირად გამოიყოს დირექტორის მოადგილე - საკონსტრუქტორო კვლევებისა და პროექტირების სამეცნიერტო ცენტრის კოორდინატორი დავით ცანავა.
6. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
7. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 1-ლი მაისიდან.

დირექტორი ნიკოლოზ ჩიხრაძე

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესი

1. სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესით (შემდგომში „წესი") განსაზღვრულია სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის (შემდგომში „ინსტიტუტი") შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწევის ამკრძალავი ნორმები **„თამბაქოს კონტროლის შესახებ"** საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ინსტიტუტის შენობა-ნაგებობებში, ასაფეთქებელ კამერაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა აკრძალულია.
3. ინსტიტუტის ყველა თანამშრომელი და სტუმარი ვალდებულია დაიცვას ამ წესით დადგენილი მოთხოვნები.
4. ინსტიტუტის სტუმრის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მისი ინსტიტუტის ვადამდე დატოვების საფუძველი.
5. ინსტიტუტის თანამშრომლის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ამ წესით და ინსტიტუტის შინაგანწესით დადგენილი ნორმების შესაბამისად.
6. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ ამ წესის დარღვევა გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს (რიგითობით):

   ა) შენიშვნა;

   ბ) გაფრთხილება (შენიშვნის მიცემიდან 3 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

   გ) საყვედური (გაფრთხილებიდან 3 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

   დ) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა (საყვედურის მიცემიდან 3 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში).
7. დამრღვევი თანამშრომლის მიერ ამ წესის დარღვევის გამო შესაბამისი ორგანოს მხრიდან ინსტიტუტის მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების შემთხვევაში, დამრღვევს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რაც დაიქვითება მისი შრომის ანაზღაურებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი უზრუნველყოფს ინსტიტუტის შენობა-ნაგებობების ყველა შესასვლელში და თვალსაჩინო ადგილებზე თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან მარეგულირებელი წესის, წარწერის და ნიშნის, ასევე ამ წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომრის, განთავსებას და ინსტიტუტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევისათვის ადგილის გამოყოფას - ნიშნის (თამბაქოს მოწევა ნებადართულია) განთავსება და ნაგვის ურნით აღჭურვა.

9. ასაფეთქებელ კამერაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესის დაცვას უზრუნველყოფს აფეთქებითი სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, აფეთქების ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი სერგო ხომერიკი.
10. ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან მათდამი დაქვემდებარებული პირების მხრიდან ამ წესის დაცვაზე. ამ წესის დარღვევის გამოვლენიისთანავე კი წარუდგინონ შესაბამისი მოხსენებითი ინსტიტუტის ბრძანებით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს დირექტორის მოადგილეს, საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის კოორდინატორს დავით ცანავას.
11. ინსტიტუტის ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის დაფიქსირებისთანავე მოხსენებითი ბარათი წარუდგინოს ინსტიტუტის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.